ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3260919

ნომერი: AR1499316

თარიღი : 28.04.2017

გაცემის თარიღი : 16.05.2017

გაცნობის თარიღი : 16.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 80 , (ნაკვეთი N1/37) ; ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 80 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 7 აპრილის #3194656 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 28 აპრილს №AR1499316 განცხადებით მომართა ქეთევან ფანცულაიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017

წლის 7 აპრილის #3194656 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 7 აპრილის #3194656 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ჭავჭავაძის გამზირი, #80-ში, შპს „მერკური ვაკე“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვეთის საკ. კოდები: #01.14.10.001.066; #01.14.10.001.066; #01.14.10.001.083), შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით „D” სექტორში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის A, B, და C ბლოკების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 7 აპრილიდან 2017 წლის 7 დეკემბრის ჩათვლით.
წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, პროექტის გეგმების ჩანაცვლება, ამავე პროექტის შესწორებული გეგმებით. ასევე ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად 25545.1 კვ.მ-ის ნაცვლად 25468.11 კვ.მ-ის, საცხოვრებელ ფართობად 13324 კვ.მ -ის ნაცვლად 13323.5 კვ. მ-ის, საზაფხულო ფართობად 2681.4 კვ.მ-ის ნაცვლად 2649.65 კვ.მ-ის, სარდაფის ფართობად 690.5 კვ.მ-ის ნაცვლად 714 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 2600 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 4459 კვ.მ-ის ნაცვლად 4377.26 კვ.მ-ის დაფიქსირება.

სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია სამსახურის 2017 წლის 7 აპრილის #3194656 ბრძანებასთან. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 7 აპრილის #3194656 ბრძანებაში და შეთანხმებული პროექტის გეგმები ჩანაცვლდეს 2017 წლის 28 აპრილის №AR1499316 განაცხადით წარმოდგენილი, ამავე პროექტის შესწორებული გეგმებით. ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად დაფიქსირდეს 25468.11 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად 13323.5 კვ. მ, კომერციულ ფართობად 1803.7 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 2649.65 კვ.მ, სარდაფის ფართობად 714 კვ.მ და კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 2600 კვ.მ, ხოლო ავტოსადგომის ფართობად 4377.26 კვ.მ. სამსახურის 2017 წლის 7 აპრილის #3194656 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 7 აპრილის #3194656 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.